სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

04 მარტი 2025

N 104/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. ნატახტარში შპს „გრინ ფეიფერის“ ქაღალდის/მუყაოს ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოს ექსპლუატაციაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

შპს „გრინ ფეიფერის“ მიერ, გზშ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. ნატახტარში ქაღალდის/მუყაოს ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოს ექსპლუატაციის სკრინინგის განცხადება.

ვინაიდან, წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ქაღალდის/მუყაოს ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმო მოწყობილია, ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, სკრინინგის განცხადება, შემდგომი რეაგირების მიზნით, გადაეგზავნა სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს. 2025 წლის 10 თებერვალს, სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ განხორციელდა შპს „გრინ ფეიფერის“ კუთვნილი ობიექტის ინსპექტირება და „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 79[7] მუხლის პირველი ნაწილით (სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებული საქმიანობის სკრინინგის გადაწყვეტილების გარეშე განხორციელება) გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე, კომპანიის მიმართ, შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №091600 ოქმი.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ქაღალდის/მუყაოს ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმო მდებარეობს მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. ნატახტარში, შპს „ლენდ ინვესტმენტის“ საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 72.03.29.502; ფართობი: 32 342 მ^2), რომელსაც შპს „გრინ ფეიფერი“ ფლობს იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე. დოკუმენტის თანახმად, საწარმოს ტერიტორიაზე განთავსებულია 4 ძირითადი შენობა-ნაგებობა, რომელთაგან №1 წარმოადგენს ადმინისტრაციას/საწარმოს, №2 – საწყობს, ხოლო №3 და №4 – დამხმარე ფართებს. საჯარო რეესტრიდან ამონაწერის მიხედვით, 72.03.29.502 საკადასტრო ერთეულზე განთავსებულია 5 შენობა-ნაგებობა, თუმცა, №5 შენობა-ნაგებობის ფუნქციური დანიშნულების შესახებ ინფორმაცია მოცემული არ არის. ამასთან, აღსანიშნავია, რომ კომპანიას შპს „ლენდ ინვესტმენტისგან“ იჯარით აქვს აღებული მომიჯნავე მიწის ნაკვეთებიც (ს/კ: 72.03.29.507 და 72.03.29.508). დოკუმენტის მიხედვით, ნარჩენების გადამამუშავებელი ობიექტები განლაგებულია მხოლოდ 72.03.29.502 საკადასტრო ერთეულზე, ხოლო იჯარის ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომიჯნავე მიწის ნაკვეთების მიზნობრიობის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილი არ არის. საწარმოს განთავსების მიწის ნაკვეთიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი (კოტეჯი) დაშორებულია დაახლოებით 200 მეტრით. ამასთან, მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით,

საწარმოს 500-მეტრიან რადიუსში ფიქსირდება შპს „ROYAL PAPER“-ის (ს/კ: 72.03.29.456 და 72.03.29.457), შპს „3S ქიმია სანაი ვე თიჯარეთის“ (ს/კ: 72.03.29.134), შპს „ალფა 2022“-ის (ს/კ: 72.03.30.912; 72.03.30.914), ასევე, შპს „ევრო პარკის“ (ს/კ: 72.03.29.350) საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები, მათზე განთავსებული შენობა-ნაგებობებით, რომელთა ფუნქციური დანიშნულების შესახებ ინფორმაცია დოკუმენტში მოცემული არ არის. საწარმოს საკადასტრო საზღვრიდან დაახლოებით 220 მეტრში მდებარეობს ნატახტრის აეროდრომი.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, №1 შენობა-ნაგებობაში, პირველ სართულზე, მოწყობილია ნარჩენების გადამამუშავებელი ხაზი და მზა პროდუქციის დასაწყობების სივრცე, ხოლო მეორე სართულზე განთავსებულია ადმინისტრაციის ოფისი. №2 შენობა-ნაგებობაში გათვალისწინებულია ქაღალდის/მუყაოს ნარჩენების (ნედლეული) დასაწყობება, ხოლო №3 და №4 შენობა-ნაგებობები განკუთვნილი იქნება დამატებით სასაწყობე ფართებად. საწარმოში გათვალისწინებულია წელიწადში 20 625 ტონა ქაღალდის ნარჩენის გადამუშავება (აღდგენა) და დაახლოებით 16 500 ტონა მუყაოს პროდუქციის წარმოება. საწარმო მუშაობს 24-საათიანი სამუშაო გრაფიკით, თვეში არაუმეტეს 25 დღე (7200 სთ/წელ).

სკრინინგის განცხადების თანახმად, საწარმოში შეტანილი ქაღალდის/მუყაოს ნარჩენები, საწყის ეტაპზე, თავსდება ნედლეულის დასაწყობებისათვის განკუთვნილ შენობა-ნაგებობაში, რის შემდგომაც, კონვეიერის გავლით, მიეწოდება მომზელ დანადგარს, სადაც ემატება წყალი. ტექნოლოგიური პროცესი ითვალისწინებს ქაღალდის/მუყაოს ნარჩენების ცელოფნის, სკოჩის, პლასტიკის, ქვიშის და ძაფის ნაწილაკებისაგან გაწმენდას, დაქუცმაცებას და შრობას, ასევე, სახამებლის და სხვა დანამატების („CK PROCIT X“; „CK SIZE S 70“; „CK DRY 250 ანტიბაქტი“) გამოყენებას, რომელთა შესახებ ინფორმაცია მოცემული არ არის. მიღებული მუყაო იხვევა რგოლებად, რის შემდგომაც ხდება ზედმეტი კუთხეების ჩამოჭრა. შემოჭრილი მუყაოს ნარჩენი ბრუნდება საწარმო ხაზის საწყის ეტაპზე და ხდება მისი ხელმეორედ ნედლეულად გამოყენება/გადამუშავება. საბოლოოდ მიიღება მუყაოს დახვეული გრაგნილი, რომელიც საწყობდება მზა პროდუქციის სივრცეში. საწარმოში მოწყობილია ბრუნვითი წყალმომარაგების სისტემა, რისთვისაც განთავსებულია ტექნიკური წყლის ძირითადი 700 ტონიანი და დამხმარე 200 ტონიანი რეზერვუარი.

წარმოდგენილ დოკუმენტში მოცემული არ არის საწარმოში გადამუშავების მიზნით შეტანილი ნარჩენების კოდები და დასახელებები „სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით ნარჩენების ნუსხის განსაზღვრისა და კლასიფიკაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 17 აგვისტოს №426 დადგენილების შესაბამისად, ასევე არ არის წარმოდგენილი ნარჩენების აღდგენის ოპერაციის კოდი, „ნარჩენების მართვის კოდექსის“ შესაბამისი დანართის მიხედვით. გარდა ამისა, დასაზუსტებელია საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი თითოეული კოდის ნარჩენის შემდგომი მართვის ღონისძიებები.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, საწარმოში წყლის გამოყენება ხდება სასმელ-სამეურნეო და ტექნიკური დანიშნულებით, რისთვისაც წყალაღება ხორციელდება საწარმოს ტერიტორიაზე არსებული ლიცენზირებული ჭაბურღილიდან. დოკუმენტის თანახმად, წლიურად გამოსაყენებელი სასმელ-სამეურნეო წყლის ხარჯი შეადგენს 412 $მ^3$-ს, ხოლო ტექნიკური დანიშნულების წყლის ხარჯი – 28 050 $მ^3$-ს. სკრინინგის განცხადებაზე თანდართულია სასარგებლო-წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია-ბრძანება, რომელიც გაცემულია შპს „ქართული ხორცის კომპანიაზე“ და 2025 წლის 9 მაისამდე მოპოვების უფლებით გადაცემული აქვს შპს „ლენდ ინვესტმენტს“. აღსანიშნავია, რომ მითითებული ლიცენზია-ბრძანებით წელიწადში მოსაპოვებელი წყლის რაოდენობად განსაზღვრულია 5000 $მ^3$. ვინაიდან, საწარმოს მიერ წლის განმავლობაში გამოყენებული წყლის ჯამური რაოდენობა შეადგენს 28 462 $მ^3$-ს, რაც ლიცენზია-ბრძანებით

წელიწადში მოსაპოვებელი წყლის რაოდენობაზე გაცილებით მეტია, დაზუსტებას საჭიროებს საწარმოს წყალმომარაგების დამატებითი წყაროს შესახებ ინფორმაცია, ასევე, შპს „გრინ ფეიფერზე“ ლიცენზია-ბრძანების გადაცემის საკითხი.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, ვინაიდან ობიექტზე მოწყობილია ბრუნვითი წყალმომარაგების სისტემა, საწარმოო ჩამდინარე წყლების წარმოქმნას ადგილი არ აქვს. რაც შეეხება სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლებს, მათი ჩაშვება ხდება საასენიზაციო ორმოში, რომელიც პერიოდულად იწმინდება ხელშეკრულების საფუძველზე. დოკუმენტის თანახმად, ვინაიდან, საწარმოო პროცესი მიმდინარეობს დახურულ შენობა-ნაგებობაში, ხოლო გარე ტერიტორიაზე სანიაღვრე წყლების დაბინძურების პოტენციური წყაროები განთავსებული არ არის, სანიაღვრე წყლების დაბინძურებას ადგილი არ აქვს.

სკრინინგის განცხადების თანახმად, საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით, საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე, ადგილი ექნება მავნე ნივთიერებების წარმოქმნას და მათ ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევას. ობიექტის ფუნქციონირების პროცესში ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებებს წარმოადგენს შეწონილი ნაწილაკები, აზოტის ორჟანგი და ნახშირჟანგი. საწარმოს ტერიტორიაზე არსებული გაფრქვევის წყაროებია: საქვაბე (გ-1), რომელიც მუშაობს ბუნებრივ აირზე; სახამებლის ჩაყრის წერტილი (გ-2); მზა მუყაოს შემოჭრის დანადგარი (გ-3). აღსანიშნავია, რომ საქვაბის მიერ წლის განმავლობაში მოხმარებული ბუნებრივი აირის მოცულობა შეადგენს 864 000 $მ^3$-ს. საწარმოს წარმადობის და უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე (კოტეჯი) დაშორების მანძილის გათვალისწინებით, ობიექტის ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელია ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება, რაც მოითხოვს დამატებით შესწავლას, შეფასებას და საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი პრევენციული/შემარბილებელი ღონისძიებების განსაზღვრას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საწარმოში წარმოქმნილი ხმაური ნაგებობაშივე იხშობა და ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელ მნიშვნელოვან ზემოქმედებას ადგილი არ აქვს, თუმცა, აღნიშნული დასკვნა გაკეთებულია შესაბამისი დასაბუთების გარეშე და საწარმოს ფუნქციონირების პროცესში მოსალოდნელი ხმაურის გავრცელების გაანგარიშება და უახლოეს მოსახლესთან მიღებული შედეგები მოცემული არ არის. შესაბამისად, ობიექტის ექსპლუატაციის ეტაპზე ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედება საჭიროებს სათანადო შესწავლას და შეფასებას.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, საწარმო არ მდებარეობს არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, ასევე, დაცული და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიების სიახლოვეს, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები. ობიექტი მოწყობილია ანთროპოგენური ზემოქმედებით სახეცვლილ გარემოში, სადაც ცხოველების ბინადრობისათვის ხელსაყრელი პირობები წარმოდგენილი არ არის.

სკრინინგის განცხადების თანახმად, საწარმოს მახლობლად ანალოგიური ტიპის წარმოება არ ფიქსირდება, თუმცა, ვინაიდან, მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით, საწარმოს 500-მეტრიან რადიუსში ფიქსირდება სხვადასხვა ობიექტები, რომელთა ფუნქციური დანიშნულების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილი არ არის, შესაძლო კუმულაციური ზემოქმედების საკითხი საჭიროებს დამატებით შესწავლას და შეფასებას.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და გადაიგზავნა მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, საზოგადოების მხრიდან, აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით, წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში არ ყოფილა წარმოდგენილი.

სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ საქმიანობის წარმადობის და უახლოეს საცხოვრებელ სახლთან დაშორების მანძილის გათვალისწინებით, საწარმოს ექსპლუატაცია უკავშირდება გარემოზე მნიშვნელოვან ზემოქმედებას, რაც საჭიროებს დამატებით შესწავლას, შეფასებას და შესაბამისი პრევენციული/შემარბილებელი ღონისძიებების განსაზღვრას. ამასთან, დასაზუსტებელია საქმიანობასთან დაკავშირებული რიგი საკითხები.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის და ამავე კოდექსის II დანართის მე-8 პუნქტის 8.1 და მე-10 პუნქტის 10.3 ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. ნატახტარში შპს „გრინ ფეიფერის“ ქაღალდის/მუყაოს ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოს ექსპლუატაცია **დაექვემდებაროს** გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. შპს „გრინ ფეიფერი“ ვალდებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-8 მუხლის შესაბამისად, უზრუნველყოს სკოპინგის პროცედურის გავლა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „გრინ ფეიფერს“ და სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „გრინ ფეიფერის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ვასილ გედევანიშვილი

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/104-21-4-202503041658

QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE